



12 იანვარსთვის



ვაჟა-ფშაველა საკუთარ კარ-მიღამოზე

**თაოსნობა
და
სიფხიზლე**

ბეჯითი ფქვავდა—ბედოვ-
ლათი რიგს უცლიდაო,—სწო-
რედ ჩვენზეა თქმული...

ვინ არ გინდა გაფაციცე-
ბით მუშაობს თავის ყოფა-ცხოვრების მოსაწ-
ყობად, ჩვენ კი ან უკულო ხარის როლ ვას-
რულებთ, ან კი სეირს უცქერთ, ან საკუ-
თარ კოლოფებში ჩაკეტლნი საპნის ბუშტე-
ბით „ვეომებით“ ურთიერთს...

არამც თუ ქალაქი, არამედ დაბა-სოფე-
ლიც ლამის უცხოელებმა ჩაიგდონ ხელში ვაქ-
რობით, მიწა-წყალით, კულტურით...

ბოლოს ხელოვნების დარგშიც შემო-
იჭრნენ ნაირი ჯურის მწარმოებელნი,—კინე-
მატოგრაფ-სინემატოგრაფთა გამგენი ანუ უც-
ხო დასნი,—და ჩვენი მსახიობნი კი მხოლოდ
იმითი ირთობენ თავს, რომ კვირაში რამდენ-
იმე უბრალო გასართობ-შანტანურ წარმოდ-
გენას გამართვენ საღაც ფანჩატურში...

თეატრის მოთხოვნილება რომ იზრდება, ეს ცხადია: ხალხი თავისი შინაგანის ლტოლვილებით ეტანება ხელოვნების ტაძარს და თუ მის სულიერ მოთხოვნილებას გზა არ მიეცემა, დროით რიგინი თეატრი არ შეეკმინეთ, შეიძლება ქართულ თეატრს ჩამოშორდეს...

ამიტომ ბედოვლათურად სეირის ყურება კი არ შეგვეფერის, არამედ სიფხიზლე-თაოსნობის გამოჩენა...

თბილისში მოწინავე მუშა-ხელოსნებმა უკვე შექმნეს თავისი თეატრი, და, საბედნიეროდ, საქმეც სასურველად მიდის (მხედველობაში გვაქვს ზუბ. სახ. სახ. არსებული წრე), მაგრამ მარტო ეს ვერ დააკმაყოფილებს დემოკრატიულ ინტელიგენციის—ასე ვსთქვათ; ქართველი საშუალო საზოგადოების—მოთხოვნილებას.

თბილისისა და ქუთაისის დრამატიული საზოგადოებათა გამგეობანი, როგორც სჩანს, თვით ჩამოშორდნენ საქმეს. თუ ჩვენი საზოგადოების მაღალი ინტელიგენცია მოუცლევლობის, მოქაჩვის თუ სხვა მიზეზით ვერ გასძლია საქმეს, მაშინ თვით დემოკრატიული ინტელიგენცია უნდა ჩაუდგეს საქმეს სათავეში და ითავოს სათეატრო საქმის გაძლოლა... ასევე უნდა მოქცეს ქუთაისი, სადაც რიგიან სახალხო თეატრს დიდი ასპარეზი ექნება...

ომის ქარცეცხლთან ახლო მყოფ ბათუმის და ფოთის სცენის პოტრფიალეთ ვერ ვუსაყვედურებთ, მაგრამ ის კი უნდა იქონიონ მხედველობაში, რომ პირველ საუკეთესო შემთხვევისთანავე გააჩაღონ მუშაობა...

ამ მხრით ძალზე ჩამორჩენილია გორი, თელავი, სიღნაღი, კავკასი და სხვა სხვილი დაბა-ქალაქი, სადაც უბრალო გასართობი ფრთა გაშლილი ანუ ზშირად უცხო დასანი მკიან მაშინ, როდესაც ქართველთა მოსახლეობა დიდია და თითო ზატარა სცენის მოყვარეთა დასის შენახვა, რომელიმე გამოცდილ მსახიობის ხელოვნებანებით, საზოგადოებას ადვილად შეეძლო...

შინ რას მოუკალათნიათ ჩვენს მსახიობთ? ნუ თუ თაოსნობას არ გამოიჩენენ, გარედ ნაბიჯს არ გადასდგავენ და მუდამ სხვის ხელშემყურებელნი იქნებიან?

მსახიობი პირისპირ უნდა წარუდგეს ხალხს და ხელოვნების საშუალებით მოუკლას გათვითცობიერების წყურვილი,

წვიმის სიმღერა

მე სიხარულს-ს ცრემლი ვარ,
 ძუძუნა წვიმად ქცეული,
 უფლის თვალ-მარგალიტებ დ
 წვეთ-წვეთად ჩამოფრქვეული!

წმიდაა ჩემი განზრახვა,
 ჩემი ნატვრა და სურვილი:
 მინდა ქვეყანას ვესხურო,
 მოვუკლა გულის წყურვილი!

უხილავე

უხილავეა ანათო ჩემს გულში სანთელი სიცოცხლისა.

ეს ღვთაებრივი სხივი ღვივის ჩემს სულში.

დიღხანს ვიღოდი მე ქვეყნად... სინათლის სხივთა კონა თანდათან ძლოერდებოდა.

მაგრამ ვილაცამ ამ სანთლის ჩაქრაბა მოინდომა, მხოლოდ არ ჩაქრა ის, ისევე ძველებურად ისროდა ირგვლივ სხივთა ისრებს.

—„იგი სანთელი რომ ჩამქრალიყო, რა იქნებოდა?— წამჩურჩულა იღუმალმა ხმამ. „რა იქნებოდა, დიად, დიად რომ სცოცხლობ რისთვის სცოცხლობ და რომ მომკვდარიყავ, ვის რა დააკლდებოდა?!“

მე პასუხი ვერ ვავეცი ამ იღუმალ ხმას, დავფიქრდი... დავფიქრდი... დავფიქრდი და მაშინ მივხვდი, რომ უხილავეა, როდესაც ანათო ჩემში სანთელი სიცოცხლისა—არა სთქვა, თუ რისთვის ანათოს, ან ვის უნათოს მან... დიად, მას არ უთქვამს ჩემთვის, თუ რა იყო მიზანი ჩემი ქვეყნად მოვლენისა.

და მე არ ვიცოდი?

—„არ იცოდი!—მეძიხდა იღუმალი ხმა. „გაიგე, ეძიე!..“

და მე გეძებ შენ, უხილავე, გეძებ ყველგან—სამლოცველოში, სადაც მუხლ-მოდ-



მ. ქილარჯიშვილი
ბაქოს დრ. წრის მიერ
მიწვეული.



ალ. ბადრიძე
სახალხო სახლის რეჟი-
სორის თანაშემწე.

რეკილნი ცხარე ცრემლის ფრქვევით გვედ-
რებიან და მადლობას გწირავენ; ბუნების
წიაღზე—ტყეში, სადაც იღუპალი მყუდროე-
ბა სუფევს; მინდორ-ველში, სადაც გაზაფხუ-
ლის სიო ყვაილეებისაგან გაგზაფნილ კოცნას
ტყისაკენ მიაქროლებს; სადაც ცივი ზამთრის
ქარი ხარხარებს და სისინებს, თითქოს მცი-
ვანთა და მაშვრალთა დასცინისო; ზღვისა და
მდინარის პირას, სადაც მოუსვენარი ლურჯი
აქაფებული ტალღები ერთმანეთს ხვდებიან;
გეტებ, უხილაგო, გეტებ რომ გკითხო — რა
იყო მიზეზი ჩემი გაჩენისა, რა არის მი-
ზანი ჩემი ცხოვრებისა?!

მაგრამ ვერსად ვიხილე... მე შენ
დამტოვე... გამაჩინე და მიმატოვე.

მე გეტებდი შენ, ხოლო დემონი თან
დამედგენა. მოდიოდა ჩემს სარეცელთან და
ტკბილი ხმით წამჩუჩებულბდა:

— ყველაფერს, ყველაფერს, რასაც კი
მოისურვებ, მოგცემ შენ, თუ ჩემი გზით ივ-
ლი, ვინაიდან მე ვარ ღმერთი სინათლისა,
ღმერთი კვლევისა და ძიებისა!.. მომყევ მე
და მაშინ იხილაგ, თუ რა არის სიცოცხლე,
რისთვის მოხველ ქვეყნად. წამო, წამო...
ავხსნი ფარდას ყველა საიდუმლოებას, ყვე-
ლაფერს გეტყვი, ყველაფერს გაიგებ!..

მე კი შენ გელოდი, უხილაგო, რათა
შენ აგეხსნა ჩემთვის ამოცანა სიცოცხლისა,
მაგრამ ვერ გპოვე. შენ კი არ მოხველ ჩემ-
თან. დემონი ისევ ჩამომახალბდა:

— მე, მე აგისნი საიდუმლოებას!..

გეტებდი, უხილაგო, და ვერ გპოვე შენ.
მაგრამ თუ შენ უხილაგად ბუნების ყო-
ველ კუთხეში სუფევ—მე აი, აქ, ამ ძველი

ტაძრის ნანგრევებზე ვიდრეკ მუხლს შენს
წინაშე, ყოვლად შემძლებლო, და შენი
მონა, შენი ფერხთა მტვერი გვედრები მი-
პასუხო:

— რისთვის გამაჩინე, რად განსაზღვრე
სიცოცხლე ჩემ, გვედრები განმარტო მიზა-
ნი ჩემი ცხოვრებისა...

— არ მაძლევ პასუხს?!

მაშ ისევ უნდა ვიარო ქვეყნად, ვით
წყვდილით მოკულ უდაბნოში? მაშ ვერ ავ-
ხსნა მიზანი ცხოვრებისა, ვერ ვიპოვო ძა-
ლა სიკვდილეზე ძლიერი?!

...და როდემდის?!

ისევ შენ, შენ მოგმართავ, დემონო,
ღმერთო კვლევისა და ძიებისა—შენ მომცე
ძალა გაუმკლავდე უღმობელ სიკვდილს,
ახადე ფარდა საიდუმლოებათა შენთა, ჩამოხ-
სენ შავი რიდე შენს სამეფოში შესასვლელ
კარებს.. მასწავლე, როგორ შევებრძოლო
სიკვდილის შავ აჩრდილს, მაჩვენე გზა, რომ-
ლითაც, ჯანდონით სავსემ ვიბრძოლო და
გავხსნა ჯადოსნური კვანძი ჩემი ცხოვრებისა!
მე შენთან მოვალ!..

დაე, იგრგვინოს ცამ, იმრისხანოს, აენ-
თოს ცეცხლად—მე მან ვერ მომცა, რაც
უნდოდა სულს დაობლებულს; მან არ გამი-ს-
ცა რამ პასუხი მაძიებელ სულს!..

აწ სხვა გზით ვივლი...

კვალად ვტებნი ყოფნის გასაღებს და
გარდავქმნი სულს!..

მონაშტა

გოგოთურ ღააფუინა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 36)

ქართველი ანსებიოდა წინააღმდეგი იყო
სხვისი ჩაგვრისა.

„აი ეს მცნება ძველთაგან
შეგვითვისინია ქართველებს:
ერის ზნეს, ენას და სჯულსა
ნურავინ გაანადგურებს.

ღვთი! გან გაჩენილ ყოველ ერს
 სიცოცხლისა აქვს უფლება;
 ვინც უსამართლოდ სხვას ჩაგრავს,
 ის თვითონ დაიჩაგრება.

ქართველნი სხვას არ ვაწუხებთ,
 არავის ვაძლევთ ვნებასა;
 სხვის დაჩაგვრაში ჩვენ ვხედავთ
 სამართლის შეგინებასა,
 მხეცურსა ძალადობასა,
 სიბილწეს, გარყვნილებასა!“

(„გაგა“ 1895წ. № 43 ილ. ჩს—ხირელი)

გოგოთური სწორედ ასეთია. ის მზადაა
 ბრძოლის საქართველოს მტერს, რომელიც არ
 იშლის მის შევიწროებას... ის ეუბნება აფშინას:

„ხომ იცი საქართველოა
 ყველა კუთხიდან მტრიანი.

გოგოთური ეუბნება თავის ცოლს:
 „ხმლის ქნევას მაღლი მაშინ აქვს,
 როცა ხმალს ხედავ მტრისასა“.

გოგოთურ აქ ეტყვის აფშინას:
 „თუ მაინც გიყვარს ხმლის ქნევა.

მე სამ გამოყვე გაჩვენო
 მტერი, საულეტი ვაება,
 დაგეცეს მარტოს ათასი,
 გცემდენ, მოგიგდონ შუაში.“

სწორედ მტერთან თმის მეოხებით ადამიანი
 დიხსი ხდება იარაღის ტარებისა... ვაჟაკმა
 თვისი სივაჟაკე ბრძოლის ველზე უნდა შეინარ-
 ჩუნოს, სისხლით მოინათლოს და მით სსხელი
 მოიხსეკოს.

გ) სამშობლოს სიყვარული ნამდვილი გმირი
 დარჩება უღვას სამშობლოს თავისუფლებას.
 ის თავის ძმის წინააღმდეგ ხმალს არ აიდებს
 სელში... იცის კარგათ, რე შედეგით მოხდეს
 ძმათა ურთიერთშორის მტრობას, თუ როგორ
 ეთხოვება ამითი მისი საქრთო სამშობლოს
 კეთილდღეობას... მართლაც ერთობის შეუკნებ-
 ლობამ საქრთო კავშირის გამოუქედლობამ ძი-
 რი გამოუთხარა საქართველოს თავისუფლებას
 და მისი ცხოვრება სხვა უცხო გარემოებათა
 შორის მოათავსა. გოგოთურა არ გაიტარებს
 გულში მოძმის შურს, მტრისთვის გაღესილს
 ხმალს ძმაზე არ მოიხმარს.

„ჩემი ფრანგული (ხმალი) მტერსა ჰკლავს,
 ძმაზე არა აქვს ხელიოა“.

მართლაც გოგოთური ძმის სისხლს არ დაღ-
 რის, მის შევიწროებას არ აკადრებს... შეთვი-
 სებუდი აქვს დედის ძუძუსთან ერთად დიადი
 მღნება ძმის სიუჯარულისა... გოგოთურის შე-
 სასებ

„არავის ახსოვს ფშავში
 ხმა? აღლა ა' ძრახლომოდეს,
 განალამც საც არც ვავიდა,
 გზად ვისმეს გადასდგომოდეს!“

საერთო სამშობლოს თავისუფლების სიმ-
 ბოლო შეფე უეგარს გოგოთურს... დაუძახებს
 შეფე მთილამ ბარად მისაშეგებლად, გოგოთუ-
 რი წავა... იქ მოისაქმებს, დაესმარება და შემ-
 დეგ დაბრუნდება თავის მთიან სამშობლოში,
 რომელიც კავიუბით უეგარს, იქ დაიბადა, იქ
 ახილხ თვალები, იქ ეგ უღვის მამა-მამადა იმა-
 თი „გუბოს ფიცარი“... ბეგრჯელ სთხოვა გო-
 გოთურს შეფემ — დარჩემა შეფის კარდა, მგ-
 რამ

„ვაჟაკი ეტყოდა:
 შეფე! ვერ ვაძლვბ ზარადა.
 თუ მთის ნიავი არა მცემს,
 გული ქალებურ ტირისა,
 არ მინდა პური, არც წყალი,
 აღარც ვალემა პირისა;
 მამეხიბლვება გუნება,
 ვერა ვარ გამძლე კირისა!“

გოგოთურს ვაჟამ, სჩანს, ჩაუღვა თავისი სუ-
 ლი და შეამკო იმ გრძნობებით და სულის კვე-
 თებით, რომლითაც თვითონ იყო გამსჭვალული.
 ტუილად კი არ ამბობენ კრიტიკოსები, რომ
 მგოსანი თვის მიერ დასატულ ტიპებში (სახეებ-
 ში) საკუთარი ხასიათის დირსებას და ნაკლუ-
 ლეგანებას გამხატავს, გამომხსეკვბსო . . ტი-
 პები უმეტეს ნაწილად მგოსანთა ქაზრებს და მი-
 მართულებას ატარებენ და კვატეობ ნებენ. ჩაიდ-
 ჭაროლდი იგოვე ბაირთინა, ეგბენი ანკეინი
 იგოვე ჰუშინი, ჰუხორინი იგოვე ლერმონტოვი,
 ილია ილიას ძე თბლამოვა — იგოვე კანჩაროვი .
 ისიც კია შენიშნული, რომ სხვა და სხვა ტი-
 პებში მგოსანი თავის ხასიათის სხვა და სხვა
 მხარეს ხატავს „ გოგოთური, ალუბა ქეთელაუ-
 რი, მინდი („გვედის მჭამელი“) იგოვე ვაჟა ფშავე-
 ლას თვის განვითარების სხვა და სხვა სა-
 ფეხურზე მდგარი, სხვა და სხვა დროისა . .
 გავისხნოთ, თუ რას ამბობდა ვაჟა-ფშაველა

თვისი გარდაცვალებამდის რამდენიმე დღის წინადა: „კაცო, ნუ მოშკლავთ ამ ოთხ კედელ შუა, გამისტუმრეთ ჩემს მთებისკენ, იქაური ჰაერი მარგებს, აქ სული მესუთება, პაპანაქება მომიდნობსოა. („საქართველო - № 56) და კიდევ: „ვანო (ავალიშვილი) სოფელში მინდა, მთაში. ნეტავი, ნიაგო, ჩემამდის მოაღწიო, ერთი ნეტა საიდანმე მოვიდოდეს თავსმა და ერთი კარგა დამსველებდეს და დამალობდეს“. („სახალხო ფურცელი“ № 348)

გასაკვირალია ამ სიტყვების და გოგოთურის სიტყვების იგივეობა.. ჰოეტის სული თითქმის გრძობდა რომ მას სნეულებისგან განკურნებს არა „სახელმწიფოს მედიცინის“ საეჭვო შესაძინი საშუალებანი, არა ესრედ წოდებული ალოპათია, არამედ მურხანდობის ბუნებრივი საშუალებანი, მშობლიური მთის საღი ჰაერი, ცივი წყლით ექიმობა და ფარესობა კვამა-სიმის მხრით.

ილ. ფერაძე

(გაგრძელება იქნება)

ოსმაღლეთი და საქართველო

(აჭარის დღევანდელ მდგომარეობის გამო)

II

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძვეს დიდი ზღვარია“.

...ქართველები ყოველთვის და ყოველგან მუტად დიდი წარმოდგენის ვიყავით თავის თავზე და სწორედ ამან დაღუპა ჩვენი ქვეყანა. თუმცა, სიმაართე რომ ვსთქვათ, ქართველებს ყოველთვის შეუძლიათ დაიკვირონ, რომ იგინი უმჯობესი თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ კავკასიაში. ქართველებმა თავისი „მე“-ც კავკასიის სხვა ერებზე უფრო მედგნად და ხანგრძლივად დიდგეს. მაგრამ განა ეს საკმარისია?.. ყოველ შეთხვევაში ეს ხომ წარსულს ჩაბარდა.. დღეს? დღეს ჩვენ გვესმის მხოლოდ სიტყვები: „თავს არვის უხრი, ქედს არ ვიდრეკო“ ნამდვილად კი წინააღმდეგს ვხედავთ.

ამა დაფაკვირდეთ სინამდვილეს, ბევრს ჩვენგანს შეხვედრია ყოფნა ისეთ საზოგადოებაში, კრებაზე, საღამოზე, კლუბში, მატარებელში,

ოჯახში და სხვ., სადა თავს იყრის რამდენიმე ქართველი ერთად. მაგრამ რაც უნდა მოინდომოთ, გინდ სათითაოთ სთხოვოთ ეველას, თვითონ თქვენც ეცადოთ, მაინც ქართულად ვერ ილაპარაკებთ.

ეველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს მაინც უნდა გვანსოვდეს, რომ „სიტყვა თვინიერ საქმის მკვლარი არს“...

ჩვენ დღეს გაუძახით— აჭარა განსაცდელშია, —თითქმის ვზრუნავთ, ვეწვეით კიდევ მაგრამ, არა მგონია, რომ ეს ჩვენი შემწეობა საკმარისი იყოს. უფაღ ვსეთი ერთდროული დახმარება თუ ის რაზე საფუძლიანი დაწესებულებით არ მტკიცდება, როგორც არის მაგალითად: სკოლა, სამკითხველო, კომპიუტერია და სხ.. ნამდვილად საფუძველს მოკლებულია.

სახლების, სასაქაქაქის უმეტესი ნაწილი და თითქმის მთელი ბორჩხლო უკვე დაგუარგეთ ჩვენის ასეთის დაუღვერობით.

თუ დროზე საფუძვლიანი საშუალება არ ვიდრეკთ, აჭარასაც ასე დაგუარგავთ.

თუ წინეთ ჩვენ ვსჯობდით ჩვენს მესობალებს, დღეს იგინი გვჯობიან.

იგინი კი კარგად მიხედნენ, დიდი ხანია შეიგნეს კიდეც დროისა და გვარი მოქმედება.

გაიხსენეთ, მეფთხმოდე წლებში ჩვენი ქვეყნის ჩარჩ-ბატატები როგორის ხრიკებით მდიდრდებოდნენ.

ჩურუქ-სუ-ქობულეთ აფხაზეთის რუსეთის სამფლობელოზე შემოერთების ხანებში დაძრწოდნ იგინი ამ მიდამოებში და არწმუნებდნენ გულუბრევილო ხალხს: „თუ დროზე არ უშეაღუო თავს, ძალით გაგაქარსტიანებენოა. ამას კიდევ ისიც უწუბობს ხელს, რომ იმავე ჩარჩების მოხერხებით, ამ დროის უვიცი და მეჭრთაშე მოხელენი, სახელმწიფო დაწესებულებებში მუსულმანებს ძაღად ხდიდნ თავიდან ფესკებს, რაც მუსულმანთა წეს რწმენის მიხედვით სჯულის შეურაცხყოფაა.

— „რომ ხედავთ, თქვე სულელებო, — ეუბნებოდნენ ასეთ შემთხვევაში იგავე ჩარჩები ამ ბეჩავ ხალხს— როგორ აბუჩად იგლებენ თქვენს სჯულსა და რწმენასოა.

იგინიც, რაღა გასაკვირალია, როგორც მიუხედრენი, ადვილად ეგებოდნენ ოსტატურად

დატეხულ მხეში: ჭეიდენ ჩაღის ფასად მამა-
მამუელს მიწა-წყალს და გარბოდენ.

ეს ჩარხები კი იმათ ნაახარზე ესახლებო-
დენ და ასახლებდენ თავისიანებს.

ამნიანის თინებით დასახლდენ და ესლაც
ესახლებიან ჩვენში უცხოელნი. და ჩვენ რამდე-
ნიც უნდა ვიდავოთ ჩვენს ისტორიულს ტერი-
ტორიაზე, თუ კი იქ უმრავლესობა არა ქართვე-
ლები იქნებიან დასახლებულნი, უბრალო წყალის
ნაყვამ იქნება.

თუ გავითვალისწინებთ დიდი ხნის იდეას
ჩვენი ქვეყნის ნებისათი თუ უნებლიეთი სტუმრე-
ბისას, ადვილად დაფინანსავთ, რომ სრულიად
„ბუნებრივად“ გვეტლებს ხელიდან ტერიტორიას,
რასაც, რასაკვირველია, ოსმალეთის მთავრობაც
ხელს უწყობს, რადგან მისთვის მეტად ხელსაყ-
რელია ქართველი მურხუმანები მიიზიდოს თა-
ვისკენ და ქრისტიანები კი მოიშოროს.

ჩვენ დღესაც ასეთს თინებს ვხვდავთ. ოსმა-
ლეთიდან გადმოხვეწილთა დღევანდელი მდგომარეობა,
გარეუნივლი მანინი, მეტად საზარელ
სურათს გვიუჩვენებს თვალწინ. ვინ იქნება ისეთი
უსულ-გულთ, რომ ის სიტყვა „ბუნებრივად“,
რომლებიც ნახევრად შიშველ ტიტველი, მშვიდ-
შვეურვადი ჭერიან ქუჩა ქუჩა, შარა-გზებზე ვა-
ნიდან თბილისამდე, არ შეებრაღოს მაგრამ ამ
შემთხვევაშიც უფრო შესაბრალისია ჩვენი მდგომარეობა,
რადგან იმათი უმეტესობა ჩვენში უნ-
და მოთავსდეს და ეს მასინ, როცა ჩვენი მიწა-
წყალი ჩვენს არ გვეყოფინის. ასე რომ უფრო
შემთხვევაში სხვისებით ხდება ჩვენზე ხალხური
ანდაზა: „ქათამმა სთქვა: რაც დაჭკლეს — ზედ
წამაკლეს, არა დაჭკლეს — მანინ დაძვლეს.“

„იდეულებს სსსკმხეთო. დაჩხა სომხეთი
უსომხეთო“, გაიძახიან... ჩვენც ვიმეორებთ...
მოგაღვინც ვართ გავიშორდით. ქართველს არ
შეუძლია გულგრილად უყუროს მეზობლის უბე-
დურებას. მაგრამ... „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უძვეს დიდი ზღვარა“.

ქართული სტენის ქურუმნი

მსახიობქალი ნ. დავითაშვილი



ნ. დავითაშვილი ქარ-
თული სტენის ერთ-ერთი
ვანსკულავთაგანია! დიდი
ხნია, რაც ქართულ თე-
ატრს უჭირდა ხალხი ტი-
ვის მსახიობი და, აი, ბო-
ლოს იშავნა კიდევ!

ქ-ნი დავითაშვილი ახა-
ლი სკოლის, ახალი ტზის
მიმდევარია და ამით დიდ
სინათლეს ჭეენს სამშობლო სტენას, მაგრამ
მანინ აქ არ შეგვიძლიან არ გამოვთქვათ ჩვენი
მწუხარება, როდესაც ვხვდავთ ჩვენი სტენის სი-
ბედშავს, მის სელარობე-სისწყლეს და ვერაფ-
რით კი გვიშველია! უფრო ის არი სამწუხარო,
რომ მისი ჩამდვილი მთავარე-მოსამსახურენი
ითელებიან და იხრდილებიან.

ასეთი ხვედრი ეტკოთ ჩვენს უნიტიერეს
მსახიობთ ნ. ჩხეიძეს და ნ. დავითაშვილს:
ერთიც და მეორეც ქართული თეატრის მსხვერ-
პლნი არიან! ერთადვეს ცრუდ მდგომარეობაში
უნდებათ მუშაობა. მერე რაში გამომისტება ეს
ცრუდი მდგომარეობა?! იმაში, რომ ჩვენი თეატრი
ჯერ კიდევ ძიების გზას ადგია, ჯერაც არ იცის
თუ რა დანიშნულებას უნდა ემსახუროს, ჯერაც
არა აქვს გამოკვლეული და აღნუსული თავისი
მიზანი, თავისი მისწრაფება! ქართული თეატ-
რის ანტურაჟი და პერსონალი უფარვისი და
ამასთან შესაბრალისია, მისი რეპერტუარი ხომ
შეუფერებელი და მოუმზადებელია. და, აი,
უკვე მომზადებულნი მსახიობნი ნ. ჩხეიძე და
ნ. დავითაშვილი იძულებული ხდებიან ემსახუ-
რონ მათთვის სრულიად მოუმზადებელ ქართულ
თეატრს! ეს ზირდაზირ მსახიობის ტრაგედიაა
და ეს ტრაგედია ნ. დავითაშვილსაც ეწვია.

მსახიობქალი მეტად შებატონილი და შე-
ბოროტილია. ქართულ სტენას თითქმის დახრდი-
ლული ჭეავს ეს ძლიერი ნიჭი. ხშირად, ძალიან
ხშირად გვინახავს ქ-ნი ნ. დავითაშვილი სრუ-
ლიად შეუფერებელ როლში, სადაც მსახიობის
ინდივიდუალური თვისება, თავისი „მე“ სრუ-
ლიად ჩამქრდა და დაფარულა. ასეთი მძაბურ-

იასე რაჭველი

ბა, ნიჭისთვის სახიფათოდ და საზარადოდ მიგვაჩნია!

ქ-ნ დავითაშვილს განცალკევებული რეპორტუარი აქვს. იგი დრამატული როლების აღმსრულებელია. ამას გარდა, საუცხოოდ ასრულებს ერთგვარ კომიკურ როლებსაც. აი თუნდა აკულისას, ლევ ტოლსტოის ბიესაში „მეუფება წყვდიადისა“-ში, სადაც ნ. დავითაშვილი შეუდარებელია უფურცელთ და თქვენს აღტაცებას საზღვარი არა აქვს, პირ-ტურზე დიმიდი არ გამოდგებათ. ისე გატყვევებთ და გაჯადოებთ, რომ გავიწყებინებთ თვით სტენას, თავიდან გაშორებთ ყოველგვარ ცრუ ეფექტებს, თეატრალურ ტრაფარეტს, უკლებ ჰაფოსებს და მთელი სიციხე-სივლით შეაქვს სტენასე. მისხიობქალი იმ მხატვრულ წერტილამდის მიდის, რომლის გადმოცემა ძნელია, მაგრამ რომლის იქით ცხვენობს სიმშვენიერე და სილამაზე, ბუნებრივობა და სინაზე!

საუცხოოდ ასრულებს შაბლანურ ქეთევანის როლს, შაბლანურსავე „სამშობლოში“. (ასეთივე გასაცდარი მაგალითი მოგვცა რომეტს აღელქვიმმა შაბლანურ გრ. ბეს ბიესა „სასჯულში“ გადას როლის საუცხოოდ შესრულებით) სჩანს მხოლოდ დიდი ნიჭი იმარჯვებს დიდ სიყვარულზე. ქ-ნი დავითაშვილი ქეთევანის როლის შემქნელია, მისი სულის ჩამდგმელი. მისხიობქალის ყოველი გამოხვდა, ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი დაუსრულებელი ტრუმფია.

მომხიბლავად ასრულებს სავიროვანო ანტიგონეს როლს. მშვენივრად აქვს შეგნებული თვით ანტიგონეს პიროვნება და ნათლად აწონდაწონილი მისი სულისკვრეობა. ძლიერი ხასხებით გადმოცემა სტენას კრეონთან, იქ, სადაც უარყოფის აღმინის მიერ შექმნილ კანონებს და ასრულებს დედაებრივ მოვალეობას. ბევრს არაფერს ვიტყვით ნ. დავითაშვილის ანტიგონასე იმის მეტრ, რომ მის მიერ დასურათებული ანტიგონე—კლასიკურია.

ჩინებულად ასრულებს ზეინაბსაც. წინარი, სადა ექსპრესიით გადმოცემაში ზეინაბ დელოფლის ფარულ ტანჯვა-გაბას და ყოველთვის დიდ ექსტასს იწვევს სიღმე მსურებელში. ცოტა მოისურსტებს უკანასკნელ მოქმედებაში, სადაც აკლია ზეინაბის ტრაგიკული განცდა. ეს მეტად ძნელი სტენაა და ამის კარგა შესრულება მაგარ ძარღვებს და დიდ ტემპერამენტს მოითხოვს.



ქართველი: — იაფად და პირიანად მიმულს ცყილი კარიანად.

მის რეპორტუარში საუცხოოდ როლად უნდა ჩათვალოს ივლითა („ურიელ აკოსტაში“). ტიბიურთა ი. გელევიანიშვილის „მისხვერძლისა ნატოს როლში და საჯანგებთა ენგელის „ზღვასთან“ (ელვიცა) და ქაუტმანის „მზის აღმოსვლის წინადა“-ში (ელენე). სასურველია ამისთანა ბიესებში ხშირად გამოდიოდეს სიღმე, რათა შეეძლოს თავისი ნიჭის ფრთების გაშლა.

აღსანიშნავია მისხიობქალის ზღასტიკა, რაიც ჩვენს სტენასე იშვიათი მოვლენაა! საყურადღებოა მისი სახე ტუმბრის ხმა და განსაკუთრებით კი მდიდარი მიმიკა, მოძრავი, გამომეტყველო სახე და ამიტომაც არის, რომ ნ. დავითაშვილს ძალიან ეხერხება მისხიობქვირო ტიპების გარდმოცემა, მათა ჩამოყალიბება მშვენიერ მხატვრულ ფარგლებში.

მისხიობქალს ერთი ნაკლი შეენიშნეთ: ქ. დავითაშვილი ხშირად მოამზადებს მსურებელს დრამატული განცდისათვის და სწორედ ამ დროს, როდესაც უნდა გამოიხინოს საკმაო სიძლიერე, და გამოიწვიოს გულწრფელი თანატონობა, იქ შეაბეჭდილებას აჩრწყვლებს: მსურებელი იმას ვერ იღებს, რასაც მოვლოდა. ნ. დავითაშვილი გონიერი მისხიობაა და ამ ნაკლს ადვილად აიცილებს.

მისხიობქალი ამ ჟამად ჩვენს სტენასე ერთ საუკეთესო ძალად ითვლება. მისი ნიჭი თანდათან იფურჩქნება და იზრდება, რომელიც მოითხოვს ფართო და თავისუფალ ცხას. ნ. დავითაშვილი დირსეულად ემისხურება ქართულ მედამოქნას და დირსეულად უნდა დაიდაფნოს!..

ვანტანგ ვარრიკი



ქეთე ანდრონიკაშვილი



ანნა ნალიდაძე



ელენე ქაპრიძე



მარიამ ნაკაშიძე



ზ. ჰვალადაშვილი



ნიკ მცხეთაშვილი



დავ. ავთურედი



ეკა ანდრონიკაშვილი



გ. მიქელაძე



ნანა ბაგუმბაზი



ლადო გობიძე



გ. ჰვალადაშვილი



ი. შუგარტიძე



ა. გურგენიძე

ბ ე-

1914

დ ე-



ბარბარე წულუკიძე



თამარ გულუზანი



თამარ ყიფიანი



ნატ. კრელაშვილი



და შალვა დადიანი



დ.გ. შველიძე



ნიკ. სახაშელი



შ. ხონელი



არ. ხობაძე



ან. კუ ბურძიძე



გ. მატარაძე

ქ მ ს

1915

ს ი



მ. მარჯანიშვილი



ილ. ზერეკიძე



ნ. შვიდი

ფიჭვის ხე

I

ერთს ტყისა პირად შეყვარებული ფიჭვის ხე იდგა განმარტობით, იგი მთელი დღე სატრფოს ელოდა, და ირხეოდა მწვანე რტოვებით. რა ვარსკვლავებით მოირთვებოდა თვალ უწვდომელი ცისა ტატანი, უფრორე ვნებით აღელდებოდა მაშინ სათუთი ფიჭვისა ტანი. ამ დროს ლოდინი უმართლდებოდა, ესტუმრებოდა ტყის დედოფალი, ესტუმრებოდა ოცნების კერპი და მისი გრძნობის მფლობელ-უფალი... ზღაპრული იყო მისი ქმნილება, თორემ ამ ქვეყნად ვით ჰნახავს თვალი. მაცდურ ლეგენდას ჰქმნიდა გარშემო საღაფი, კბილად გამონათალი, შუბლს უმწვენებდა ვარდის გვირგვინი, მხრებს—თმა ლამაზდ ჩამონაშალი, და მის ნაზ სხეულს ისე ჰქარგავდა ფიჭვის ფოთლების მომწვანო შალი. ჩამოჯდებოდა ის ფიჭვის ძირად და მოჰყვებოდა ღვთაებრივ ზღაპრებს, მოიგონებდა ფერიათ შეფეს, ფერიათ მაშებს, იმათ წინაპრებს და მოჰყვებოდა, თუ რა ენითა ესაუბრება ბალახი ბალახს, და მოჰყვებოდა კიდევ სხვა მრავალს ყურით განაგონს და თვალით ნანახს, ამოღებდა ოქროს სალამურს, აატირებდა, ააკვნესებდა, ფიჭვიც დაჰხრდა დაბლა თვის რტოვებს და ფოთლებითა უაღერსებდა... მაგრამ სხვას გაჰყვა ტყის დედოფალი, ზურგი უჩვენა იმან ძველ ამურს, და სხვას შესწირა ღამის ლოცვები, სხვასთან უკრავდა გრძნობის სალამურს, და რა ისმენდა სალამურის ხმას, სტიროდა ფიჭვი დამწუხრებული, და იდგა ისევ განმარტოვებით, არვის ელოდა დაფიქრებული, ხოლო მის ცრემლებს ფრთა ცქვიტი სიო, მიმოაფრქვევდა ველად, მთა-ბარად და ნაშთი ძველის სიყვარულისა იქ იკმეოდა ნაზ მუშკ-ამბარად... ეხლაჲ, ოდესაჲ ფიჭვს აგონდება—სხვას ევლინება ფერია დარად, ისევ ისე სდგას განმარტოვებით და ისევ ისე ქვითინებს მარად...

II

ვით დედოფალმა დასტოვა ფიჭვი, ისე დამტოვე, თვალისა ჩინო, და მინდა მოვკლა ჩემში წარსული, თვით მოგონებაჲ არ დავარჩინო, მაგრამ რა წამსაჲ მე გავიფიქრებ, რომ შენ სხვა გეტრფის, სხვა გაიღერსებს, ვეღარ ვაკავებ სულის სიღრმიდან ამონახეტქსა სევდიან ლექსებს და მინდა მაშინ ჩემი ლექსები მკიხეველთა თვალში გარდიქცეს ნარად, რომ ვერაგული შენი ღალატი უცნობთა სულშიც სცოცხლობდეს მარად.

გ. მეგრელიშვილი

ბ ა ქ ო ს ს ე ზ ო ნ ი

(1914—1915)

წარსულ მეზონს ქ. ბაქოში მართავდა ი. თაქთაქიშვილი, მდივანი—ჯერ პ. ქარუ-ქ, შ. წ. კ. გ. ს. ბაქოს განყოფილებასთან მიძე, შემდეგ არტ. ახობაძე; ხაზინადარი—არსებული დრამატულ სექციის კომიტეტი. დავ. თედეშვილი. კომიტეტისავე წევრები კომიტეტის თავმჯდომარე იყო თავ. მ. ივენენ; ბბ. აღხაზიშვილი აღ., აწყურელი

დავ., თურქია ივ., მარჯანიშვილი მხ., პავ-
ლიაშვილი გრ., ქიქოძე ვას., ქანტურიშვი-
ლი სიო და ხუჭუა ვას.

ამ კომიტეტს თავის შორის გამოყოფი-
ლი ჰყავდა სპეციალური კომისიები: სარევი-
ზიო, სადმინისტრაციო, სარეპერტუარო და
ზოგჯერ ც საგანგებო რომელიმე რ ული
წარმოდგენის ან საღამოს მომწყობი და ხელ-
მძღვანელი.

რეთისორად მოწვეული იყო შალვა და-
დიანი, მსახიობქალაქ ელო ანდრონიკაშვი-
ლი, ორიგენი რვა თვით და თვით სეზონიც
ამის კვალობაზე გაგრძელდა, 1914 წლის 21
სექტემბრიდან 1915 წლის 26 აპრილამდე.

ამ ხნის განმავლობაში სულ გაიმართა
30 წარმოდგენა ბაქო-ბალახანაში: 28 ბაქო-
ში, 2-ც ბალახანაში. ამ უკანასკნელ ალაგას
დრ. კომიტეტი კიდევ ფიქრობდა წარმოდ-
გენას, მაგრამ ერთად ერთი ადგილი, სადაც
წარმოდგენების გამართვა შეიძლებოდა (ად-
გილობრივ საკრებულოს დარბაზი) სხვის მიერ
დაჭერილი შეიქმნა.

წარმოდგენილი იყო შემდეგი პიესები:

ქართულ ზეჯარებისა, ორიგინალურად: აკა-
კის—„ბატარა კახი“, გედევანიშვილის—„სი-
ნათლე“ 2-ჯერ და „მსხვერპლი“, 2 შოქმ.,
დადიანის შალვასი—„შენი ქირიმე“, კლია-
შვილის—„დარისპანის გასაქირი“, ნაკაშიძე
ნინოსი—„რინ არის დამნაშავეა“, რამიშვილის
—„დედინაცვალი“, სუმბათაშვილის—„ლალა-
ტი“, ფოცხვერაშვილის—„აშენ და საქართვე-
ლო“, ყიფიანის—„სამეგრელოს მთავარი ლე-
ვან“, შალიკაშვილის—„უნიადაგონი“, ცა-
გარლის—„გულჯავარ“ და „რაც გინახავს,
ველარ ნახავს“, ქავჭავაძის „დედა და შვილი“
და ქანტურიშვილის—„ბურუსი“, სულ 15 პიე-
სა; კადმოკეთებუდი: გუნიასი—„ალღუმი“,
„ღაძმა“, „ციხის საიდუმლო“; დადიანის—
„ბატონი და ყმა“, „ბედის ტრიალი“, ერის-
თავისა—„სამშობლო“, სულ 6 პიესა.

გვსოვდ ავტორებისა, ნათარგმნი: ბიერსო-

ნის—„გაკატრება“, გოგოლის—„რევიზორი“,
ზუდერმანის—„მამულ-დედული“, რიშკოვის
—„სახელმწიფო სადგომი“, ფულდის—„ჩერ-
ჩეტი“, შენტანის—„ჯამბაზები“, ჰაიერმანის—

„იმედი-ს დაღუპვა“, ჰაუპტმანის—„ჰანელე“,
სულ 8 პიესა.

ამას გარდა წარმოდგენილ იქმნა სხვა-და-
სხვა მხიარული ვოდევლები, აგრეთვე გაიმარ-
თა დივერტისმენტები და საკონცერტო
განყოფილებანი სხვა-და-სხვა დროს მომღერ-
ლების ივ. სარაჯიშვილისა, ვარდენ ლორთქი-
ფანიძისა და ანტ. ქუმბურაძის მონაწილეო-
ბით.

ბალახანაში კი წარმოდგენილ იქმნა
„უნიადაგონი“ და „რაც გინახავს, ველარ ნ-
ხავს“.

წარმოდგენებში, გარდა ჯამაგირით მიწ-
ვეულ მსახიობთა (ელო ანდრონიკაშვილი,
შალვა დადიანი), დრო-გამოშვებით მონაწი-
ლეობდნენ საგასტროლოდ ქბ. ნინო დავითა-
შვილი („ბატარა კახი“, „ლალატი“), ნინო
ჩხეიძე („მამულ-დედული“) და აგრედვე მსა-
ხიობნი ქართული სცენისა ქეთო ანდრონიკა-
შვილი, დავ. აწყურელი და შალვა ხონელი
ამ ს გარდა ორჯელ მონაწილეობა მიიღეს
„სინათლის“ წარმოდგენაში ბონ ამი-
რაგოს საოპერეტო დასის გუნდმა, ორ-
კესტრმა და ბალეტმა. საზოგადოთ-კი წარმოდ-
გენებში მონაწილეობდნენ, დასახელებულთ
გარდა, უფრო მუდმივად: ქბ. გელოვანი თა-
მარი, კვაჭაძე თამარი, ნაკაშიძე მარიამი, ქა-
რუმიძე ელენე, ყიფიანი თამარი, ჩავუნავა ნი-
ნო, წულუკიძე ბარბარე, ჭრელაშვილი ნატა-
ლია. მათ შორის ყველაზე მეტი მონაწილეო-
ბა მიუღიათ ქბ. წულუკიძეს 22-ჯერ, ქარუ-
მიძეს 15-ჯერ, ჭრელაშვილს 13-ჯერ და ნა-
კაშიძეს 10-ჯერ. ამათ გარდა წარმოდგენებ-
ში დრო-გამოშვებით შემდეგი მანდილოსნები
ღებულობდნენ მონაწილეობას: ამაშუკელი
მარ., ბუდაგაშვილი, ღუმბაძე, კანდელაკი,
ნადირაძე ანა, ყუყუნაშვილი, ჩხენკელი. მა-
მაკაცებში მუდმივ მონაწილეობდნენ: ამაშუკე-
ლი ვლ., ახაშნელი ნიკ, ახოზაძე არტემ,
გეგეკეკორი ლადო, ზერეკიძე ილია, ლოლუა
არქ., მარჯანიშვილი მრხ. (მოკარნახე), მსა-
ხარაშვილი ნიკანორ, მატარაძე გიგა, მიქელა-
ძე გრ., პავლიაშვილი გრ., პავლიაშვილი ლ.,
საყვარელიძე ივ., ქარქაშაძე სანდრო, შივ-
ლია ნ., შველიძე დავით, ქუმბურაძე ანტონ,

ჯაფარიძე მიხეილ, ხონელი შალვა. ამით შორის ყველაზე მეტი მონაწილეობა მიუღიათ გრ. პავლიაშვილს 27-ჯერ, ალ. პავლიაშვილს 24-ჯერ, გ. მატარაძეს 23-ჯერ, ქუმბურიძეს 23-ჯერ, შალვა ხონელს 20-ჯერ, არტ. ახოზაძეს 15-ჯერ. აგრეთვე დრო-გამოშვებით მონაწილეობა მიიღეს ბბ. ბოხუამ, დარასელიამ, დეკანოიძემ, ებანოიძემ, კიქნაძემ და პლ. ლეჟავამ.

წარმოდგენებს საერთოდ საზოგადოება ხალისიანად ესწრობოდა და სულ სეზონის განმავლობაში (21 სექტ. 1914 წ. 26 აპრ. 1915 წ.) 15000 მაყურებელი დასწრებია.

შემოსავალი ერთი მეორეზე წარმოდგენებს ჰქონია 230 მანეთამდე, ასე რომ წინა სეზონებთან შედარებით შემოსავალს დიდათ უმატნია. ხოლო თუ დრ. კომიტეტმა წელს მაინც ცოტაოდნად იზარალა, ეს როგორც ანგარიშიდანა სჩანს, იმდენათ ამ სეზონის ბრალი არ არის, რამდენათაც წინა წლებისა. წინანდელი ვალი კვალში სდევდა წლებიანდელს სეზონსაც და მისი მოქრობა ვერ შესძლო ამ სეზონმაც. მით უფრო, რომ რამოდენიმე წარმოდგენა, რომელიც დიდ შემოსავალს უქადა სექციას, მანვე დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ გამოართა როგორც მაგ. კონკრტი ბ. კ. ფოცხვერაშვილისა, რომელიც აკაკის მიცვალების გამო გადაიდო. ორი მორიგი წარმოდგენაც ყველიერის კვირეში ამავე მიზეზის გამო არ შესდგა. გადადებულ იქმნა აგრეთვე გარეშე მიზეზთა გამო განზრახული აკაკის საღამო და ბაქოს ქართულ სცენის 10 წლის არსებობის აღსანიშნავი წარმოდგენა.

ყველა ამან კი ხელი შეუშალა, რომ გასულს სეზონს ყველი ზარალიც დაეფარა*). ისე კი ამ სეზონითაც ერთხელ კიდევ დამ-

*) თუმცა ფაქტიურად ზარალი არა აქვს დამატარებელ სექციას, რადგან წ. კ. ადგილობრივ განყოფილებების გამგეობამ ეს დანაკლისი უკვე გადაიხდა და ჩარიცხა თავის ანგარიშში ისე, როგორათნებ ბაქოში ქართულ წარმოდგენებში მისაწვება იფუძო, უკეთეს ვსთქვათ, როგორც ერთ-გვარი სუბსიდიისა.

ტკიცდა, რომ უკეთეს წარმოდგენების საქმე რიგიან დონეზე იქმნება დაყენებული, ჯაკოს ქართველობა მას მუდამ მხ.რს დაუჭერს და თვით შემოსავალიც კი წაუძღვება საქმეს. ხოლო, როგორც განზრახულია, თუ წ. კ. ს—ს ადგილო რივ განყოფილების მიერ დრ. სექციას წლიური სუბსიდიაც ექმნება, თქმა არ უნდა, ეს საქმეც დიდათ მკვიდრ ნიადაგზე დადგება.

ვადა

ბედნიერი დღე

(გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 36)

ამოლ. (მოჭყედავს და შეუბღვერს) ვიტყვი მხოლოდ, რომ დღეს იშვიათია ჩვენში ქართველი დედა, ქართველი ქალი და თუ ასეთები მოიპოვებინ დღეს, ისიც მხოლოდ სოფლად, ქალაქმა სულ გააყვანა ჩვენი ბარისნები. ყოველი ქართველი დედის ვალია ქართველი შვილი გაზარდოს. თქვენ შეასრულეთ თქვენი ვალი, მაშ გაგიმარჯოთ თქვენ. (უგელახი ტაშს უკრავენ, დანარჩენებიც სვამენ სადღერძქელას)

სონა (იღებს ჭიქას და ადღერძქელებს) „მამა“ შენი „ზღაროციე“ იყოს! (დაღვეს, გადახედავს გიორგის, რამეღვიც რადანს ათვალიერებს სუფრასზე, ეძახის მისამსახურეს) შელანო! მელანო! (შემოდის შეჯანო) ჩქარა „ვილკა“ მოიტა! (შეჯანო გარბის. დედას) რა უბედურებაა, ამდენ ხანს ვერ ისწავლა, რ-მ „ნოუები და ვილკები“ საჭიროა. (შემოდის შეჯანო და მოიტანს დანა-ჩანგას)

თებ. (გაჭავრებულო) უა ჩემს თვალებს! (შეჯანოს) შე დასაბრძვებელო ეხლა უნდა „ნ-ე ს და კილკის“ მოტანა? გასწი (შეჯანო გადის. გიორგის) მაპატიეთ, ბატონო გიორგი.

გიორ. (იფინის) არაფერია, არაფერი, ბატონო

სანდ. (იღებს ჭიქას და წამოდგება) გამხიარულდით, გამხიარულდით ბატონებო! ვსვამ თქვენს სადღერძქელოს, ბატონო ეგნატე, თქვენი დედაწლი სამშობლოსა და ოჯა-

ხის წინაშე დაუფასებელია. იცოცხლეთ მრავალ ეამიერ! (დაღუეს) აბა მრავალეამიერ!

აპოლ. (სონას) გთხოვთ დაიწყეთ!

თქვენ უთუოდ კარგად მღერით.

ყველანი. გთხოვთ! გთხოვთ!

თებ. აბა, შეილო, დაიწყე.

სონა. არ შემიძლია. (ნაზობს და იგრიბება)

აპოლ. გთხოვთ! თურმე მშვენიერი ხმა გაქვთ და ჩვენც გავგავინათ.

სონა. ღმერთმანი არ შემიძლია (იწყებს რუსულ კილოზე „მრავალ-ეამიერს“ დანარჩენები მას აწყევიან)

აპოლ. (როცა სიმღერას გაათავებენ ტაშს შემოჭკვრავს) ვაშა! ბრავო! ვაშა! ბრავო! (ყველანი ტაშს უკრავენ, ზოგი ვაშს იძახის, ზოგი „ბრავოს“, ყველანი შესწრხშებულნი არიან და არეულ-დარეულად ღაზნაკობენ)

გიორ. (იღებს ჭიქას) „გოსპოდა“ ღღევანდელი ღღე ბენდიერი ღღეა ჩემთვის. ღღეს პირველად ვარ ნამდვილ ქართული ოჯახში, ღღეს პირველად ვხედავ ნამდვილ ქართველ ხალხს, მესმის ნამდვილი ქართული. ყველა ამის მიზეზი არის ეგნატე. პროკოპიჩი, რომელმაც ფუნდამენტ ჩაუყარა ასეთ ოჯახს, ამდენი ხნის განმავლობაში უვლიდა, ამშვენიერებდა და ღღეს ჩვენ დაგვატკბო მისი ხილვით. ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს, ბატონო ეგნატე. (დაღუეს)

აპოლ. (წამოდგება და ჭიქას აიღებს. სადღეო ჩამოსწევს სერთუკის კალთას, ახალბან დაიკუსება და ეკითხება) რა გინდა, დედაჩემო?

სალ. (ჩუმად) აბა, შენ იცი შეილო, რაც შეგიძლია ბევრი სთქვი, აქე ძალიან. (იღიშება და თვალებში შესტქქვას).

აპოლ (ხელს გააშვებინებს. გაჯავრებით) თავი დამანებ! (ეგნატესკენ პირს მიიბრუნებს) ბატონებო! ღღეს მეც პირველად ვარ ისეთ ოჯახში, სადაც ყველაფერს ქართული ეფერი ადევს, ღღეს პირველად ვარ ისეთ ოჯახში, სადაც ქართულ ენას პირველა ადგილი უქირავს და ღღი „პაჩოტი“ ეპყრობიან; ღღეს პირველად ვარ ისეთ ოჯახში, სადაც ყველას ქართული ღღილიც კი უკრთის პირის სახეზე. ეს ოჯახი აშენებულია ბა-

ტონ ეგნატეს მიერ, აქ მას აკვანი დაუდგამს ქართული ენისთვის, ყოველივე ქართულისთვის და შეილივით გაუზრდია. აქ შენახულა ხელუხლებლად ჩვენი ენა, ზნე, ჩვეულება და სარწმუნოება. ჩვენი ინტელიგენციის ვალია არა თუ მარტო შევიწახოს და დაიცას ქართული ენა, ქართული ოჯახი, „ნაშ დოლოგ გოსპოდა“ ყოველივე საშუალება ვიხმაროთ ასეთ ოჯახების გამრავლებასათვის. ვსვამ ეგნატე თქვენს სადღეგრძელოს, გაუმარჯოს თქვენს ოჯახს და ჩვენს საქართველოს. (ყველანი ჰევიანინ „გაუმარჯოს, გაუმარჯოს“ ახალბან ეგნატეს ჩაჭკვრის და დაღუეს).

სონა (ღიმილით. ჭიქას აჩვენებს ეგნატეს) „პაპა! პაპა!“ გავიმარჯოს! (მოსვამს ღვინოს და ჭიქას დასდგამს)

ეგნ. (ღიმილით) მაღლობელი ვარ, ღღეშკა, მაღლობელი!

კოტე (წამოდგება) ბატონებო! როგორც ვატყობ, ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი სუფრა ბაბილონის გოდოლი შეიქმნება. მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ორი კარგი საქმე ერთად გავაკეთო. მოვსპო სხვა ენაზე ლაპარაკი და ცოტა ფულიც მოვავარგო. წინადადებას ვიძლევი: ვინც სხვა ენაზე დაილაპარაკოს გარდა ქართულისა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სასარგებლოდ გადაიხადოს ერთი მანეთი შტრაფი. (ყველანი საშინელს ხარხარს ასტუხენ)

სანდ. (ხარხარებს) თანახმა ვართ, თანახმა! და რადგანაც, ბატონო კოტე პრეზიდენტი თქვენ მოიგონეთ და პირველათავე თქვენ შესცდით, ჩაადგეთ ცაქანიში მნეთა ჯრიმა და არა „შტრაფი. (ყველანი იღინიან კოტე გაწითლდება, ამოიღებს კიბიდან მანეთს და ჩააგდება ჭიქაში)

გიორ. (ხარხარებს) და რადგანაც, ბატონო სანდრო, სიტყვა სტაქნი ქართული არ არის და თქვენც „აშიბკა“ მოხედით, გთხოვთ თქვენც ჩამ აბრძანოთ აქ ერთი მანეთი (მიუშვერს ჭიქას. სანდრო იღინის. ჩასდება ფულს. გიორგი დასდგამს ჭიქას)

აპოლ. (იღინის, მიუშვერს ჭიქას გიორგის) და რადგანაც, ბატონო გიორგი, სიტყვა „აშიბკა“ ყოველივე ქართულ სიტყვიერე-

ბას მოკლებულია, ასეთ უნედლოროზუმენიეს-თვის“ თქვენი ჩასდეთ მანეთი (საერთო ხარხარი. გიორგი ჩაგდებს მანეთს. ახოლანი დასდგამს სტაქანს და ამაყად თავს მადლა ასწვეს, რომ უგვლას აჯობა)

სალ. (სიხარულით სკამზე გვარ დგება) ყოჩაღ შეილო, ყოჩაღ! ყველას აჯობე.

გენ. (იციანის. აიღებს ჭიქას და ახოლანს მიუშვებს. ახოლანი გაოცდება. სადომე უგრებს ჩაბოყანს და გუშტკრებულს უგრებს) და რადგანაც, ბატონო აპოლონ, სიტყვა უნედლოროზუმენიე“ ერთობ გძელია და ქართულ სხარტულ სიტყვას ვერ შეედრება, ამიტომ თქვენც ჩამოაყუდეთ აქ მანეთი. (ყველანი ხარხარებენ)

სალ. (დაეყაზე ხედას შემოაიკრავს) უი, დამიდგა თვალების შემარცხვინე, შეილო?

აპოლ. (შეტად გულხანკლული გაჯანყებით) თავი დამანებე, შენ სულ დავთარი დამიბნიე. (ამოიღებს სიფულას და ჩაგდებს მანეთს)

სონა. (ბრაზიანად. არ ესაიმოვნა, რომ ახოლანიც ჩაიჭრა ფეხებს აბაკუნებს) პაპა?

გენ. (სიცილით მიუშვებს ჭიქას) მანეთი. (სონა იციანის. ჩასდებს მანეთს. ყველანი იციანის და ტაშს უკრავენ)

თებ. (იციანის) ყოჩაღ, ყოჩაღ ჩემო სონა! აგრე იცის „კაპრიზიანობამ.“ (საერთო ხარხარი ასტუდება)

გენ. (მიუშვებს ჭიქას თებრას) საღამო მშვიდობ-საი სიტყვა „კაპრიზიანობა“ ღირს მანეთი. (თებრა იციანის. ჩაგდებს მანეთს დაიღვამს წინ ჭიქას) გადავჩით, ბატონებო, მე და სალომე და რადგანაც ჩემთან გაჩერდა ქიქა, ჩემი ვალა ხვალვე გავუგზავნო ეს ფული წერა-კითხვის სასოგადოებას, ხვალ აუცილებლად გვეგზავნი „პერეველით“. (სამინელო დრინტელო ასტუდება. ტაშს უკრავენ გენატს)

სან. (გამაართმევს ჭიქას და მიუშვებს) და რადგანაც, ბატონო გენატე, სიტყვა „პერეველი“ ქართულ სლოვარში არ სწერია, საქიროა აქ თქვენი მანეთიც. (გენატე ხარხარებს. ჩასდებს ფულს)

კოტ. [სიცილით] და რადგანაც ყველას ქალბატონმა სალომემ გვაჯობა, ამიტომ ფულები უნდა ჩაბარდეს მას და ეთხოვოს გავ-

ზავნოს დანიშნულებისამებრ. (დაუდგამს წინ ჭიქას)

ყველანი (იციანის) ვაჰა, სალომე გთხოვთ! გთხოვთ!

ს.ლ. (გრესით) უიმი! არა ბატონებო! რა ჩემი საქმეა. მე არც კი ვიცი ფულები როგორ იგზავნება ჩემს დღეში არავისთვის არ გამიგზავნია. აპოლონს სულ მუდამ განსვენებული ჩემი ქმარი უგზავნიდა. მე მხოლოდ „პროსტოი“ წერილებს ვუგზავნიდი. (საერთო ხარხარს დასასრული არ აქვს. ტაშს უკრავენ. სადომე დარცხვინილი გამოიყურება. არ იცის რა მოხდა)

3. ირეთელი

(გაგრეელება იქნება)

ქართული სახიობა

სახალხო სახლში წრემ სეზონი დაიწყო მათს, ნ ენკენისთვის, ჰეიერმანის „იმედის დაღუპვით“, უცხო პიესით, რომელშიაც სიღარიბე და სიმდიდრე, მადა გაუმძღარი მყვლეფელი და გაღატაკებული შრომის შვილი, საზოგადოებრივი უსამართლობა ცხოველი ფერადებითა დასურათებული.

ასეთს—და საზოგადოთ ყველა—პიესას დიდის სიფრთხილით უნდა დადგმა, რომ მხედველობა, მსმენლობა და მშვენიერების გრძნობა მაყურებლისა არ შეიბღალას. ხსენებული საღამოს სისრულე ირღვეოდა. პირველ ხარისხიან მსახიობთა და ნიჭიერ სცენის მოყვარეთა გვერდით ყალბის მქნელთაც ვხედავდით: როლის მტკიცედ უცონელად, უგრძობად და უშრო შესამოსით სულ არ უნდა გამოვიდეს მსახიობი. (მაგ. ყურს ეხამუშებოდა ხმ რი: „როდესაც რომა“, „შენ რომ, ჰკვა რომ“ და სხვ.) ნ. დავითაშვილმა (იო), ი. ზარდალიშვილმა (ბოს), მ. ჰიაურელმა (კაპს), ტ. პიფრეტამ (მარტი) და ნიჭიერმა სცენის მოყვარებმა ნ. გოციროძემ (კობუს) და გ. ანაშვილმა (დანტი), მშვენიერი ხატებანი შექმნეს, განსაკუთრებით ნ. დავითაშვილმა მესამე მოქმედებაში. ღირსეული იყო ს. რომანიშვილ-დგებუაძისა (მარტია), ს. ჰეპანოვი თითქო უცხო სტუმარიოა, ხანდისხან თუ როლში შევიდოდა, ხანდისხან ძაღვი უწყდებოდა, გრიმიც არ უვარგოდა; ქ-ნი ბართაშვილი გვარიან მეთევზის ქვრივი იქნებოდა, ხმა რომ შენოდეს. ხმის დამუშავება ეპირველა, ქ-ნი ერისთავის (მენტინა) საწუგეშო იმედს იძლევა. დანარჩენ სცენის მოყვარეთ მეთი გულწრფელობა რომ გამოეჩინათ და სიყალბისთვის გზა აქციონათ—ხჯობდა. ხალხი, განსაკუთრებით მოზარდი

თაობა, საკმაოდ დაესწრო. სამწუხაროდ დარბაზში წესიერება ირღვეოდა უზომო ღრიალით, სტენით და სკამების ბრახა-ბრუხით. ხალხმა თითონვე უნდა დიკვას წესიერება და მოწიწებით მოეპყრას ხელოვნების საშლოცელოს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ წრემ გონივრული წესი შემოიღოს—მსახიობნი არ გამოვიდნენ თავის დასაკვრელად და მაშასადამე უზომო გამოძახილი—ხედმეტია.

უსაშანო

ქართ. მსახიობთა ამხანაგობა კვირას, 6 ენკ. ხარფუხის კლუბში წარმოადგინა ოპერეტა „ნატერის თვალი“, ტ. აბაშიძისა, ალ. იმედაშვილის, დ. მგალობლიშვილის, შ. საფაროვისა და სხ. ნონაწილეობით და პოლიკარპე ფალაიშვილის ლიტბარობით. აუარებელი საზოგადოება დაესწრო. წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა. გვიან დაწყებას რომ მოიშლიდნენ—უჯობთ. ამავე პიესას „13 ენკენ. ახალ კლუბში“ წარმოადგენენ.

— რი

ნამთლულის საავადმყოფოში დაავადებულ-ღებრილ ჯარის კაცთა გამანაწილებელ სადგომში, ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ ვ. გუნია. გამგეობით 8 ენკ. წარმოადგინა „მშვენიერი ელენეს მძიებლი“ და „სოფლის ფერშალი“. ბოლოს გაიმართა სიმღერა-ცეკვა. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ტ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, დ. მგალობლიშვილი და სტენის მოყვარენი. დარბაზი გაქედილი იყო ავადმყოფ შემომრებიტა და ადგილობრივ მოსამსახურეებით. დამსწრენი ძლიერ კმაყოფილნი დარჩნენ.

გ — ლი

სარფუხის კლუბის მამასახლ-სთა საბჭომ, ქ-ნინო ბეჟ. ყიფიანის დიასახლიზობით, 8 ენკენ. აჭარელთა სასარგებლოდ სეირნობა გამართა. მიუხედავად იმისა, რომ სეირნობის გამართვას სულ ორ დღეში შეუდგენ. შესაფერად იყო მოწყობილი და აუარებელი ხ ლნიც დაესწრო, ნამდვილი ხალხი,—ჩვენი ინტელიგენცია კი არ სჩანდა (ამავე ღამეს „ახალ კლუბში“ რუსულად ოპერეტა „მშვენიერ ელენეს“ არდგენდენ და იქ ბრძანდებოდნენ). სეირნობა ნამდვილ ხალხურად იყო მოწყობილი,—სხვა და სხვა სათაშო გასართობები, სინემატოგრაფი, ქართველ მომღერალთა გუნდი, საზანდარი, ზურნა, მუსიკა და სხ. ბალის სხვა და სხვა კუთხეში მოეთავსებინათ. სეირნობა დაიწყო ნაშუადღევს და ნაშუადამდე გაგრძელდა. როგორც ვსთქვით უმეტესად ქართველი დემოკრატია იყო და თათრობა, რომლებიც სიამოვნებით ეწეოდნენ საქველ-პოქმელო მიზანს. წესიერება არ დარღვეულა და ხოლხი ნასიამოვნები დაიშალა. შემოსავალი დაახლოვებით 2500 მანეთამდე იქნება.

დამსწრე

ლაგოდენში, კვირას, 30 აგგ. „შრომა— ლაგოდენის სტენის მოყვარეთა წრემ“ გამართა შექქესე მორიგი წარმოდგენა ითაშაშის ქართულად: „სიკვდილი ჩრდილოეთში“, დრ. ეტ. 1

მოქ. ერთწმინდელის და „ტკუისა მჭიძის“ კომ. 1 მოქმ. ცაგარლისა, რუსულად: „СОНЬ ВЪ РУКУ“ ხუმრ. 1 მოქმ. გლახუნოვისა და „Червѣхъ двѣсти лѣтъ“ ვად. 1 მოქმ. დრუგინისისა. მონაწილეობდენ: ქ.ქ. ს. დონაშვილი-სა, ზ. მუსლაფი, ნ. თანდალაშვილი, ჯ. ისტრებოვი ბ.ბ. ი. ბასტაშვილი, გ. ნაჩინდ-შვილი, ბ. ტიგაშვილი, ა. კადრძოვი, ა. ვაჩნაძე, კ. ისტრებოვი და გ. ჩიკვაძე. თუ უმნიშვნელო დეფექტს არ მივაქვევთ ურუადებას, წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და კარგი შთაბეჭდილება დასტავა მაყურებლებზე. ყოველი მოთამაშე სელს უწყობდა წარმოდგენის მწყობრად ჩატარებას. თეატრი ხალხით გაჭედილი იყო და ნასიამოვნები დაიშალა ღამის 12 1/2 საათზე.

რეცენზენტი

სოფ. ამაშუკეთში (შორაპნ. მახ.) 3 აგგ.

წარმოადგინეს „დაძმა“. წარმოდგენის დაწყებამდე მასწ. არ. რამინიშვილმა ხალხს მოკლედ გააცნო ჩვენნი პოეზიის ვარსკვლავი ვაჟა-ფშაველა. ახალგაზდა მგოსანმა სიმ. წვევლმა ვაჟას შესახებ დაწერილი თავისი ლექსით ცრემლი მოკგვარა საზოგადოებას. მისი ლექსი ხალხმა ფეხზე დგომით მოისმინა. გრძნობრივი ლექსი წაიკითხა აგრედვე მასწავლ. ალ. ხარატიშვილმა. რეჟისორ ს მეცადინეობით პიესამ მოლოდინზე უკეთ ჩაიარა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნინო გაჩეჩილაძის ასული (გადია) თავისი შვენებული თამაშით და სიმ. წვევლი (ოტია) შესაფერი დაიქცია მომიკით. თინა ამაშუკელი (მარინე) I და IV მოქმეში გასტობდა, მაგრამ II და განსაკუთრებით V მოქმეში სუბოკეთდა, ა. სვანი (გაიოზი) დ. კიკნაძე (ფაშ.) შესაფერისნი იყვნენ, მხოლოდ ფაშა ხანდისხან უმიზეზოდ კანკალეზდა. არა უშავდა ადამიას და გიორგისაც იაკ. ამაშუკელი ყარა-ოღლისა და თურქის როლებს ასრულებდა.—პირველში კარგი იყო, მეორეში მოსუსტებდა. პიესამ კარგად ჩაიარა. დიდძალი ხალხი დაესწო.

სტუმარი

წ ვ რ ი ლ ი ა მ ბ ე გ ი

◆ **ქართ. დრამ. საზ.ის გამგეობამ** ქალაქის სამმართველო ა სთხოვ. სახ. სახ-ში დღეები დაუთმე ქართველ მსახიობთა ამხანაგობას წარმოდგენების სამართავადო.

◆ **საბჭოთალოს თეატრში** გასულ კვირას საზოგადო კრებამ დაადასტურა წინანდელი არჩევნები.

◆ **სახაზინო თეატრში** ევლახიშვილის თაოსნობით ოპერა დაიწყება !5 ენკენისთვის.

◆ **მახ. ბარჩიკის პიესა** „მოლიაულ გზზე“.

ან. ერისთავ-ხოშტარას რომანიდან გადმოკეთებული, მეფის მოადგილის სამმართველოს მიერ ნება დართულ იქმნა წარმოსადგენად.

➤ **ალ. ზრ. ტიხაძურიძე**, ახალგაზდა ნიჭიერი მხატვარი, თბილისის სარკინისგზო სასწავლებელში მიიწვიეს მხატვრობის მასწავლებლად. მხატვარი ფიქრობს ახლო მომავალში საკუთარი ნახატების გამოფენა მოაწყოს თბილისში.

➤ **მსახიობალი მ. ძილარჯიშვილი** ბაქოს დრამ. წრემ მიიწვია მდგომარე სეზონ სთვის.

➤ **სახალხო სახლის გამგე** ილ. აბრ. ჩუბინაშვილმა შეადგინა და უკვე ბეჭდეს სახალხო სახლში გამართულ წარმოდგენების თუ სხვა გასართობი და მათზე დამსწრეთა რაოდენობის ორი (1913—14) წლის ანგარიშს, შემოსავალ-გასავლის აღრიცხვით. წინა წლების ანგარიშები უკვე დაბეჭდილია.

➤ **ღმის, შაბათს 2 მანქანა**. სახალხო სახლში ალ. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ვილჰელმ ჰენშელი“.

➤ **თელავში** თელავის წ. კ. ს. განყოფილებასთან შესდგა ქართ. დრამატული წრე, წესდება შეიმუშავა და გუბერნატორთან გაგზავნა დასამტკიცებლად.

➤ **ქართ. კულტ. მომხმ. საზ-ის კრება** გაიმართება დღეს 12 ენკენ. დეპუტათა საკრებულოში საღამოს 8 ს.

➤ **ვაჟა-ფშაველას ორმოცის** წირვა-პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 13 ენკენისთვის დღების ტაძარში.

➤ **ქართველი ძალი** ქეთევან კონსტანტინეს ასული მაღალაშვილი მიიღეს რუსეთის სამხატვრო უმაღლეს სასწავლებელში, მიუხედავად იმისა, რომ მთხოველი 300 იყო და მხოლოდ 30-მა ჩაბაარა გამოცდა, ქ. მაღალაშვილია ერთი ამთგანია.

➤ **„ახალი კლუბი“** შეუდგა დამწვარ თეატრის დარბაზის გადაკეთებას, ზოლო ქართ. დრამ, საზ-ის გამგეობ-ს-კი უარი უთხრა — წარმოდგენებისთვის დარბაზს ვერ დაგიტოვებ, საერთო სასადილოსთვის გვინდა იგიო.

➤ **რადგან „თეატრი და ცხოვრების“** საბეჭდი ქალაქი გამოილია და გამოწერილი კი დროით ვერ მიიღო ჩვენმა ფირმამ, ქურნალი დროებით ამ ქალაქზე იბეჭდება.

ღეგევა

პეტროგრადი. 6 ენკ. გაზღვიცვალ საიმ. თეატ. დამსახურებული მსაძიობ-ქალი სავინა. **მწიგნობრობა**

ქართველების გამაჰმადიანება ანუ ქათ. გათათრება

აღწერილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ, ამ დღეში გასასყიდად გამოვიდა (225 გვ. 50 კ.) წიგნში მოთხრობილია, როგორ გამაჰმადიანეს ყარსის, ართვინის, მურღულის, შავშეთის, იმერხევის, დევსქალის, ლივანის, ეფრატის, სხალტის, ხულოს ხეობათა მაჭახლის, აჭარის, ქობულეთის, ვახეთ-სამცხის და სხ. ქართველები, როგორ იკარგებოდა ქართული ენა ზოგიერთ კუთხეში, ვინ იყვნენ ქართველთაგანა შეიხ-უღ-ისლამები და სხ. ყველა ამბავს თავში უწერია ვისგან არის მოთხრობილ გაცანილი, მგ. პირველ აქცონთა ვინაობა: ეფენდი მიქელაძის, მემედ

ოღლი ბოლქვაძის, ყად ჩიჯავაძის, 80 წლის სელიმი ალა იზიოღლის, 110 წლის ქამჯარაძის. გულო ალა კაიციეშოლის, მოხუც მემანაძის და მრავალ სხვ.

ქართველ მაჰმადიანთა მომავალი ისტორიკოსი ამ წიგნში მრავალი მასალა შეხვდება, როგორც ამ წიგნის განცხადებიდან სჩანს, ჩვენს მსკოვან მოღვაწე გამომცემლს ზ. ჭიჭინაძეს კიდევ ჩვიდმეტი სხვადასხვა ნაშრომი ჰქონია ქართველ მაჰმადიანთა მდგომარეობა საჭიროებათა შესახებ, მაგრამ „ხელმოკლეობისა გამო დროით ვერ ვებეჭადო“. საოცარია გულციობა ზოგიერთ ჩვენებურ საზოგადო-საფინანსო დაწესებულებათა მესვეურებს ს რომ ასე უგულვებელს ჰყოფენ ამ სახალხო მწიგნობარ მოღვაწის ნაშრომთ. შესაღია ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის შრომებს რაიმე ნაკლი ჰქონდეს, მაგრამ როგორც მასალა, რომ ძვირფასია—ვერავინ უარჰყოფს. საჭიროა და სასურველი რომელიმე დაწესებულება თუ არა ვინმე კე-ძო პირი მაინც თავის იღებდეს ზოგიერთ მის ნაშრომის გამოცემს. **ი—ელი**

რედაქტორ-გამომცემი ანნა იმედაშვილისა
Доволено Военной Цензурой

ხარფუხის საზოგადო კლუბი
მახვილის პრ. № 131

საუცხოვო საზაფხულო როტუნდით, სცენით და მშვენიერი, ელექტრონით განათებული ბაღით.

შაბათს 12 ენკენ. **ქართული წარმოდგენა „პეპო“** კ. უიფიანის მონაწილეობით ორშაბ. 14 ენკ. **საზანდარი. სინემატოგრაფი** სამშ. 15 ენკ. **სინემატოგრაფი საზანდარი. ოთშაბათს 16 ენკენ. ქართული წარხუთშ. 17 ენკ. საზანდარი სინემატოგრაფი პარასკევს 18 ენკ. მუსიკა სინემატოგრაფი შაბათს 19 ენკენ. კონცერტი. კვირას 20 ენკ. სინემატოგრაფი: ორკესტრი დასაწყისი საღამოს 8¹/₂ საათზე. შესავალი ფსი: მამაკაცი იხლიან,—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. წარმოდგენა იწყება 9 საათზე, სინემატოგრაფი—8¹/₂ ს., საბავშვო საღამო—5.—9 ს.**

